# ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №63
## 2022 წლის 22 დეკემბერი

## ქ. ახმეტა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგები და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 05/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.162.016419).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

**ახმეტის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **იოსები ქარუმაშვილი**

**დანართი**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგები და თანამდებობრივი სარგოები**

| № | საშტატო ერთეულის დასახელება | იერარქიული რანგი | საშტატო რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო (ლარებში) |
|---|---|---|---|---|
| 1 | აპარატის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 1 | 2780 |
| 2 | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების და საკადრო საკითხებში | 3 | 1 | 1330 |
| 3 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში | 3 | 1 | 1210 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში | 3 | 1 | 1210 |
| 5 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში | 3 | 1 | 1210 |
| 6 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში | 3 | 1 | 1210 |
| 7 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1 | 1210 |